

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №046509

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

4 მარტი 2025 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი ნინო ჯიშკარიანი.

2. საქმის განხილვის თარიღი: 04.03.2025 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი ბეჟან გერენავა პ/ნ 19001004841; აბონენტის ნომერი 1114263545; ქ. ზუგდიდი, ერეკლე მეორის 1 შესახვევი #13; ტელ.: 558392524.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ბეჟან გერენავას, როგორც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №046509 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, ბეჟან გერენავას საცხოვრებელ სახლში, აღმოჩენილ იქნა უკანონო მოხმარების ფაქტი, მრიცხველზე ზემოქმედებით, კერძოდ კი ამთვლელი მექანიზმის კორპუსს წინა მხრიდან აღენიშნებოდა ნახვრეტი. აღნიშნულის გამო მრიცხველი მოიხსნა, დაილუქა და გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტრასოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მრიცხველის შეცვლის აქტი, მოხსენებითი ბარათი, ექსპერტიზის დასკვნა.

ოქმის შემდგენის განმარტებით 2024 წლის 18 ნოემბერს, ქალაქ ზუგდიდში ერეკლე მეორის ქუჩაზე, შუალედური აღრიცხვისას გამოვლენილ იქნა დაზიანებული მრიცხველი, ბეჟან გერენავას საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულის გამო მრიცხველი დეტალურად დათვალიერდა და გამოვლინდა ბუნებრივი აირის დატაცების ნიშნები, კერძოდ კი მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის კორპუსს წინა მხრიდან აღენიშნებოდა ნახვრეტი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის #008417224 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილი elster BK-G 4MT მოდელის, №11189380 გაზის მრიცხველის (ლუქი SOKAR 2540701) მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფის მთლიანობა დარღვეულია და ხუფზე წინა მხრიდან განთავსებულ ციფერბლატის დამცავ გამჭვირვალე ეკრანზე გააჩნია შეღწევისათვის დამახასიათებელი დაზიანება გამჭოლი ჩანახვრეტის სახით, რომლის გასწვრივ მთვლელი მექანიზმის გორგოლაჭების კონსტრუქციული წყობის მთლიანობა დარღვეულია ციფრებიანი გორგოლაჭების ღერძის ცალი ბოლო სამაგრი ფეხიდანაა ამოვარდნილი და გორგოლაჭებს შორის ურთიერთკავშირი და შეჭიდულობა ნაწილობრივ გათიშულია. შიდა მთვლელი მექანიზმის ციფერბლატის ეკრანზე არსებული გამჭოლი ნახვრეტის შესატყვისად მთვლელი მექანიზმის ბოლოსწინა გორგოლაჭზე გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლებია - ჩანახვლეტებისა და ნაფხაჭნების სახით.

ამა წლის 10 თებერვალს შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი #046509 და სხდომა დაინიშნა 4 მარტს. სხდომაზე არ გამოცხადდა ბეჟან გერენავა.

ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მტკიცებულებათა ერთობლიობით, დადგინდა რომ ბეჟან გერენავას მიერ ჩადენილია ქმედება, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბაზაში, ბეჟან გერენავა არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228², 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ბეჟან გერენავა პ/ნ 19001004841 ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული

საქართველოს ასკ-ის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება , ჩადენილი განმეორებით , გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი

